აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2025 წლის საქმიანობის ანგარიში

2026 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ

2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

<u>კომიტეტის შემადგენლობა:</u>

კომიტეტის თავმჯდომარე - ***ცოტნე ანანიძე***

კომიტეტის წევრები :

რამაზ ჯინჭარაძე

ფატი ხალვაში

მინდია დიასამიძე (13.11.2026-მდე)

ილია ვერძაძე (13.11.2026-დან)

ნინო ჩხეტია (29.10.2025წ.- დან)

კომიტეტის აპარატის თანამშრომლები:

კომიტეტის აპარატის უფროსი - ბაკურ ბოლქვაძე

კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე - მადონა ლომინაძე

უფროსი სპეციალისტი - ეკატერინე ბერიძე

უფროსი სპეციალისტი - ირაკლი აბაშიძე

უფროსი სპეციალისტი - თამაზ ქობულაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დემოკრატიული და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას და ადამიანის უფლებების დაცვას, როგორც საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, ისე ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის გზით. დასახული მიზნების განსახორციელებლად კომიტეტი მონაწილეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენი კანონპროექტების ან/და სხვა აქტების პროექტების განხილვასა და გადამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სხვა საერთაშორისო აქტების, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის დებულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის დებულების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომიტეტის სხდომები უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ საკითხებზე, მომზადდა დასკვნები, ასევე კომიტეტში ხორციელდებოდა მოქალაქეთა მიღება და წარმოებდა შემოსული კორესპონდენციის განხილვა/რეაგირება. ანგარიშში ასევე ასახულია კომიტეტის თავმჯდომარისა და ცალკეული წევრების მიერ განხორციელებული ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

საკანონმდებლო საქმიანობა

პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომიტეტისა და მისი წევრების კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად კომიტეტი შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლეს საბჭოს პლენარული სხდომისათვის ამზადებს / წარუდგენს საკანონმდებლო ინიციატივებს. თუმცა, კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა დამატებით გაძლიერებას საჭიროებს. შესაბამისად, კომიტეტი ხშირად აწყობს შეხვედრებს საზოგადოების დაინტერესებულ წევრებთან, მართავს დისკუსიას სხვადასხვა პრობლემურ თემაზე და ძალისხმევას მიმართავს პრობლემური საკითხების საკანონმდებლო გზით გადაწყვეტისაკენ. ამასთანავე კომიტეტის ხედვა და პრიორიტეტები კანონშემოქმედებითი საქმიანობის კუთხით საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის **– 6 სხდომა,** მათ შორის:

- ორი სხდომა ინდივიდუალურად, ხოლო

- ოთხი სხდომა გაიმართა ერთობლივად (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტთან ერთად).

კომიტეტის ექვს სხდომაზე განხილული იქნა - **9 საკითხი და მომზადებულ იქნა შესაბამისი დასკვნები.**

მათ შორის განხილულ იქნა:

- ორი კანონის პროექტი;
- კომიტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- მოსმენილ იქნა კომიტეტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში;
- პერიოდულად მოსმენილი და ცნობად იქნა მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური და კვარტალური შესრულების ანგარიშები.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტში საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა/დამტკიცება;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის გაცნობა;
4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის განხილვა;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა;
6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენა;
7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაცია;

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026-2029 წლების პრიორიტეტები;
9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

კომიტეტმა 2025 წლის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში შემდეგი სტრატეგიული მიზნები დაისახა:

ა) კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაძლიერება;

ბ)კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება;

გ) საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, საჯაროობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;

დ) კომიტეტის ინსტიტუციური გაძლიერება.

კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად, უზრუნველყოფს ზედამხედველობის ეფექტიან სისტემას, რისთვისაც აქტიურად გამოიყენებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ ინსტრუმენტებს. მთავრობის საქმიანობაზე კომიტეტის სხვა მაკონტროლებელ ბერკეტებთან ერთად, კომიტეტი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რეგულარულად მოისმენს მთავრობის წევრებისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშებს. კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობენ კანონით მინიჭებული ადამიანის უფლებების დაცვასა და რეალიზაციას. კომიტეტი ასევე უზრუნველყოფს კანონის აღსრულებაზე მონიტორინგის განხორციელებას ამ სფეროში.

<u>მოქალაქეთა მიღება კომიტეტში</u>

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულებაა მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია, რითაც კომიტეტი ეცნობა მათ

პრობლემებს, საჭიროებებს და ახდენს მათზე შესაბამის რეაგირებას. შეხვედრები იმართება უმაღლეს საბჭოში, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობებში, ასევე საჭიროების შემთხვევაში ვითარების სრულყოფილად შესასწავლად მოქალაქესთან ადგილზე გასვლითაც. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და აპარატის თანამშრომლები უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში შეხვდნენ **61** მოქალაქეს. კომიტეტი მოქალაქეებთან კომუნიკაციისათვის აქიურად იყენებს უმაღლეს საბჭოში არსებულ მოქალაქეთა ჩართულობის ოთახს, სადაც მოქალაქეებთან ადამიანის უფლებების, სოციალურ თუ სხვადასხვა ყოფით საკითხებზე მიმდინარეობს მსჯელობა ინდივიდუალურად. კომიტეტის თავმჯდომარე აქტიურად მართავს მოქალაქეებთან შეხვედრებს ასევე ქობულეთის მუნიციპატიტეტის დელეგატის ბიუროში. მოქალაქეებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს კომიტეტის თავმჯდომარე აწარმოებს ადმინისტრაციული შენობის გარეთაც და აქვს ასევე სატელეფონო კონსულტაციები.

მოქალაქეთა მიღების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრები უკავშირდებოდა სხვადასხვა თემატიკას და მიზნად ისახავდა მოქალაქეთა წინაშე არსებული საკითხების გაცნობა/გადაწყვეტას, კონსულტაციის გაწევას, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წინაშე შუამდგომლობის აღძვრას, სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შეგროვებაში მოქალაქისათვის დახმარების გაწევას.

გარდა ამისა, კომიტეტში რეგულარულად შემოდიოდა მოქალაქეთა განცხადებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას, სოციალურ საკითხებს, ჯანმრთელობის დაცვასა, საკუთრებას და სხვა. წერილების თემატიკიდან უნდა გამოიყოს მომართვიანობა მსჯავრდებულთა შეწყალებაზე შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ბრალდებულ/მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს წინაშე შუამდგომლობის გაწევა, კანონიერი უფლებების დაცვა/აღდგენა და ა.შ. კომიტეტი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და დაწესებულებებთან მჭიდრო კომუნიკაციით ახდენს შემოსულ განცხადებებზე დროულ რეაგირებას. განცხადებათა ნაწილი შეეხება სოციალურ საკითხებს, როგორიცაა მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის პროცესში

წარმოშობილი სირთულეები, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მკურნალობის მიზნით დაფინანსების თაობაზე შუამდგომლობის გაწევა შესაბამის სამთავრობო უწყებებთან. ასევე აღსანიშნავია მოქალაქეთა მომართვები მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ ინფრასტრუქტურული საკითხების (დაზარალებული ოჯახების ქირით გაყვანა, დამეწყრილი ოჯახების საკუთრებაში არსებული ნაკვეთებისა და საცხოვრებლების გეოლოგიური კვლევა, სოციალური სახლები, გზის, მუნიციპალიტეტებში გაზის დაქსელვის სამუშაოების, სასმელი წყლის, საკანალიზაციო ქსელის და სხვ.) მოწესრიგებაზე შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით.

კომიტეტში შემოსული ყველა განცხადება შესწავლილი და რეაგირებული იქნა დადგენილ ვადებში. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს, საიდანაც უმეტესწილად მიღებულია პასუხები უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე, რაზეც დროულად ეცნობათ მოქალაქეებს.

ყველა მოქალაქეს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გაეწია შესაბამისი დახმარება.

<u>შემოსული და გასული კორესპონდენციები</u>

შემოსული

მოქალაქეები	
საკუთრების უფლების დაცვა/აღდგენა	7
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	9
სოციალური პირობები	9
კანონიერი უფლებების დაცვა	19
შუამდგომლობა შეწყალებაზე / პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე	28
სხვა	6
სულ -	**78**
სპეციალური პენიტენციური სამსახური	4
პროკურატურა	1
პენიტენციური დაწესებულება	5
აჭარის ა.რ. მთავრობა	1
აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტები	2
შიდა შემოსული კორესპონდენცია	19
სხვა	5
სულ -	37
შემოსული კორესპოდენციის ჯამი	**115**

გასული

პასუხი მოქალაქეებს	84
პროკურატურას	6
პენიტენციურ დაწესებულებას	18
საქართველოს პრეზიდენტს	10
ქ. ბათუმის მუნიციპ. მერიას	14
აჭარის ა.რ. მთავრობას	11
აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტებს	9
შიდა გასული კორესპონდენცია	53
სხვა	6
გასული კორესპოდენციის ჯამი	**211**

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარემ შუამდგომლობა გაუწია სულ - 28 მსჯავრდებულს, როგორც პრეზიდენტის წინაშე თხოვნით, ასევე ადგილობრივი საბჭოს წინაშე სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნით. მიმართვები გაიგზავნა ასევე, აჭარის პრობაციის ბიუროში, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიასთან პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ შუამდგომლობის თხოვნით.

<u>პატიმართა უფლებები</u>

კომიტეტის თავმჯდომარემ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოინახულა სხვადასხვა სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები, გაეცნო ინფრასტრუქტურის მდგომარეობას და ყოფით პირობებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებებში არ ფიქსირდება პატიმართა მიმართ არაჰუმანური მოპყრობა, ძალადობა ან მსგავსი ფაქტები. შესაბამისად კომიტეტში არ შემოსულა პატიმართა/მსჯავრდებულთა განცხადებები ძალადობის ან/და საპატიმროში საცხოვრებელი პირობების გაუსაძლის მდგომარეობაზე მითითებით.

<u>სტუდენტთა პრაქტიკა-სტაჟირება</u>

კომიტეტის აპარატში გეგმიურ პრაქტიკას რეგულარულად გადიან სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები. 2025 წლის განმავლობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ხუთმა სტუდენტმა გაიარა პრაქტიკა, რა დროსაც დაესწრნენ უმაღლესი საბჭოს პლენარულ, ბიუროს და კომიტეტის სხდომებს, გაეცნენ კომიტეტის მუშაობის პრინციპებს, კანონშემოქმედებით პროცესს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს, კომიტეტის დებულებას, მოქალაქეებთან და უწყებებთან წარმოებულ კორესპონდენციებს, კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და

სამოქმედო გეგმას, კომიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებს, საზოგადოებასთან კომუნიკაციის და პეტიციების ვებ პლატფორმას, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას და სხვა საკითხებს.

გარდა გეგმიური პრაქტიკისა, კომიტეტის აპარატში სტაჟირების გავლის სურვილი გამოთქვეს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებმაც. მათ შორის საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სპეციალობის სტუდენტმა და აშშ-ის არიზონას შტატის უნივერსიტეტის (Arizona State University) პოლიტიკური მეცნიერებების სპეციალობის სტუდენტმა ბათუმიდან. წარმატებული სტაჟირების შემდეგ მათ მიეცათ დადებითი დახასიათება თავიანთ სასწავლო დაწესებულებებში წარსადგენად.

აღნიშნული პრაქტიკა და სტაჟირება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის „ინსტიტუციური გაძლიერების“ მიმართულების ფარგლებში განხორციელდა. კომიტეტი მომავალშიც გააგრძელებს სტუდენტთა პრაქტიკა-სტაჟირების უზრუნველყოფას და მისი საქმიანობის შესახებ პრაქტიკული ცოდნის მომავალი სპეციალისტებისთვის გადაცემას.

<u>საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები და აპარატის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა შეხვედრებსა თუ ღონისძიებებში:</u>

- აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ცოტნე ანანიძე ბათუმის მე-8 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტის შედეგების წარდგენას დაესწრო. „არა ბულინგს!“ - ამ სახელწოდების პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა დაგეგმეს და განახორციელეს არაერთი აქტივობა, მათ შორის, კვლევები სასკოლო თემსა და საზოგადოებაში, გადაიღეს ვიდეორგოლი, დაამზადეს საინფორმაციო ბროშურები და ა.შ. „მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ძალზე აქტუალური თემატიკა შეარჩიეს პროექტისთვის. შთამბეჭდავია მათი კვლევების შედეგები, რომლებიც არა მხოლოდ სკოლის, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, მსოფლმხედველობის წარმომადგენლების მოსაზრებების გაცნობისა და ანალიზის შესაძლებლობას იძლევა“, - აღნიშნა ცოტნე ანანიძემ საინტერესო შეხვედრა-წარდგინების დასრულებისას.

- აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები, ცოტნე ანანიძე და დავით ბაციკაძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ქობულეთის N3 საჯარო სკოლაში მოწყობილ ხელოვნების სივრცეს ესტუმრნენ. კანონმდებელთა განცხადებით, აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, განათლებისა და სპორტის სამინისტრო, სსსმ მოსწავლეებისათვის, მათი მხარდაჭერისა და განვითარებისთვის, არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა ინკლუზიური განათლების ცენტრებიც. ქობულეთის N3 საჯარო სკოლაში მოქმედ ცენტრში მოწყობილია სახვითი ხელოვნების, გამოყენებითი ქსოვილების, კერამიკისა და რესურსოთახის სივრცეები, რომლებიც ბენეფიციართა საჭიროებებზეა გათვალილი და მათი განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. ცენტრის დათვალიერების პარალელურად, სტუმრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

- უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ცოტნე ანანიძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, აჭარაში მცხოვრებ აფხაზებთან შეხვედრასა და განსაკუთრებული დამსახურების მქონე უხუცესების დაჯილდოებას დაესწრო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მომსახურების სააგენტოსა და ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოების - „ერთობა ხვალისთვის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა დავით ფაცაციამ, აჭარის მთავრობის წარმომადგენლებმა, აჭარაში მცხოვრები აფხაზი უხუცესები, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დააჯილდოვა. ღონისძიებაზე ხაზგასმით აღინიშნა სახალხო დიპლომატიის გზით ხიდჩატეხილობის აღდგენის მნიშვნელობაზე, საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ტრადიციებსა და ურთიერთობებზე, ნათესაურ კავშირებზე, რომლებსაც ტრადიციულად უფრთხილდებიან ქართული და აფხაზური ოჯახები.

- „დებატები დაგეხმარებათ თვითორგანიზებაში, გუნდურ მუშაობაში, პრეზენტაციებზე, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში. დებატები მნიშვნელოვანია თქვენი სამომავლო განვითარებისთვის “ - აღნიშნა ადამიანის

უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ ქობულეთისა და ჩაქვის პირველი საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის გამართულ დებატებზე. დებატების (თემა) რეზოლუცია: ,,თუ კანონი უსამართლოა, მაინც კანონის მიხედვით უნდა მოვიქცეთ!" თავად ახალგაზრდებმა შეარჩიეს და საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. საკუთარი მოსაზრებების, არგუმენტებისა და წინადადებების პარალელურად, მოდებატეები უმაღლესი საბჭოს წევრის გამოცდილებით დაინტერესდნენ. ცოტნე ანანიძემ დებატების მნიშვნელობასა და კულტურაზე, როგორც კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბებისა და გუნდურობის უნარების გამომუშავების ინსტრუმენტზე ისაუბრა და აქტუალური თემით დაინტერესებისთვის მოსწავლეებს მადლობა გადაუხადა.

- ცოტნე ანანიძე და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე - სულხან თამაზაშვილი, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ოჩხამურში, თანამედროვე წყლის რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნენ. პროექტი, რეზერვუარების, გამანაწილებელი ქსელებისა და ჭაბურღილების მოწყობას ითვალისწინებს და მისი დასრულების შემდეგ, ქობულეთში, წყლისა და წყალარინების სისტემით 1 571 აბონენტი ისარგებლებს. ანალოგიური ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს შუახევში, ქედასა და ხელვაჩაურში. პროექტი აჭარის 39 სოფელსა და დაბას (30 000-ზე მეტი მოსახლე) უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფს.

- ცოტნე ანანიძე და სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, ქობულეთის მერის მოვალეობის შემსრულებელთან, ირაკლი ცეცხლაძესთან და სურსათის ეროვნული სააგენტოს, ფაროსანას საწინააღმდეგო მართვის ცენტრის უფროსთან, დავით აშორდიასთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებების მიმდინარეობას გაეცნენ. ცოტნე ანანიძის განცხადებით, მუნიციპალიტეტში მობილიზებულია 50 ერთეული სპეციალიზებული ტექნიკა და მავნებლის საწინააღმდეგო წამლობა თერმული ნისლით და ცივი შესხურების მეთოდით, ამ ეტაპზე 10 ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს. სურსათის ეროვნული სააგენტო მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს აჭარის ყველა

მუნიციპალიტეტში ახორციელებს. ამ დროისთვის, ე.წ. თერმული ნისლით - 2520 ჰექტარი, ხოლო ცივი შესხურებით - 272 ჰექტარი ფართობია დამუშავებული. ამასთან, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები, სახელმწიფოს მხრიდან, ინტენსიურად გაგრძელდება.

- ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე, ფრიდონ ფუტკარაძე და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი - ირაკლი ცეცხლაძე ესწრებოდნენ, მეციტრუსეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები განიხილეს. ციტრუსის სეზონის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით გამართულ ღონისძიებაზე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა, დენის სალუქვაძემ შეკრებილებს საკოორდინაციო შტაბის მუშაობის, სახელმწიფო პროგრამების, სიახლეების, მიმდინარე და გასატარებელი აქტივობების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

- აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - რამაზ ჯინჭარაძე, უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე და ილია ვერძაძე, ქალაქ ბათუმის მერთან - გიორგი ცინცაძესთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, სპორტული ცენტრის წლის შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრნენ. შემაჯამებელ ღონისძიებაზე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წლის წარმატებული სპორტსმენები, მწვრთნელები და სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებულები დააჯილდოვეს.

- აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ცოტნე ანანიძე „შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრო. საკანონმდებლო ორგანოს წევრის განცხადებით, ქვეპროგრამას, სოციალურის გარდა, სხვა მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა და მიზნად ისახავდა, არა მხოლოდ შშმ პირთა შრომითი უფლებების რეალიზებას, არამედ მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის

გაძლიერებას. ცოტნე ანანიძემ მადლობა გადაუხადა ქვეპროგრამის ინიციატორებსა და დამსაქმებლებს კომიტეტის მიერ განხორციელებული თემატური კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის. ღონისძიების ფარგლებში ქვეპროგრამის მიზნებისა და მიღწეული შედეგების წარდგენასთან ერთად, გაიმართა სასწავლო პროცესისა და ბენეფიციართა გამოცდილების ამსახველი ვიდეორგოლის ჩვენება, ქვეპროგრამის მონაწილეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი სერტიფიკატები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა
დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე